განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გლობალური მმართველობა, ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
05/07/2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
22/08/2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გლობალური მმართველობა MA in Global Studies
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანნა მაჩიტიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

„გლობალური მმართველობის“ ახალი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა არის გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის მემკვიდრე.

„გლობალური მმართველობის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი (60 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსები, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი, 30 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები). პროგრამაში წარმოდგენილი ყველა სილაბუსი 6 კრედიტიანია და საკონტაქტო საათები განსაზღვრულია 28 საათით.

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი სასწავლო კურსები, რომლებიც გლობალური მმართველობის სხვადასხვა ასპექტებს ასახავს, რაც პროგრამას წარმოაჩენს თვითმყოფადად დარგის სპეციფიკისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი დარგის კვალიფიციური წარმომადგენლებისგან შედგება სხვადასხვა ქვედარგების მიმართულებით და აქტიურად არის ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2022 წლის 5 ივლისს შედგა აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტში. ვიზიტი მიმდინარეობდა განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ჩატარდა ინტერვიუები უსდ სკოლის ადმინისტრაციასთან, უსდ ხარისხის განვითარების სამსახურთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. დამატებითი შეხვედრის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა უსდ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსთან და სკოლის ხარისხის განვითარების მენეჯერთან. ვიზიტი მიმდინარეობდა კოლეგიალურ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.6. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1. **რეკომენდებულია,** პროგრამის მიზნებში ასახულ იქნას დიპლომატიის სწავლება პროგრამის მიზნების პროგრამის სტრუქტურასთან, პროგრამის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
2. **რეკომენდებულია,** პროგრამის შედეგების იმგვარად რეფორმულირება, რომ ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი მკაფიოდ აღწერდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების შესაბამის საკითხებს და გაცნობიერებას, უნარების ნაწილში კი მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი ტრანსფერული უნარები და პროგრამას დაერთოს მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.
3. **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკა“, რომელიც ერთის მხრივ მოიცავს საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო წესრიგის თეორიულ ხედვებს, საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს, კონკრეტული ქეისების განხილვას, და მეორეს მხრივ, შექმნის წინაპირობას ზოგიერთი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის.
4. **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ ჩანაცვლდეს ორი მეთოდოლოგიური კურსით, სადაც ერთი აქცენტს გააკეთებს კვლევის დიზაინსა და აკადემიურ წერაზე სწავლების საფეხურისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო მეორე ორიენტირებული იქნება კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებზე სწავლების საფეხურისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
5. **რეკომენდებულია** პროგრამის სტრუქტურის არჩევითი საგნების ბლოკი გამდიდრდეს კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის შექმნილი ისეთი საკითხების შემსწავლელი სასწავლო კურსებით, როგორიცაა დიპლომატიის სხვადასხვა ასპექტები, საგარეო პოლიტიკის ანალიზი, საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტების შედარებითი ანალიზი და მსგავსი. აღსანიშნავია, რომ გარე შემფასებლის შეფასებაში ასევე აღნიშნულია პროგრამაში დიპლომატიასთან დაკავშირებული თემატიკის სიმწირე.
6. **რეკომენდებულია**, პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობების განახლება პროგრამის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელების შემდგომ.

7. **რეკომენდებულია,** პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლდეს და გამრავალფეროვანდეს ლიტერატურა ახალი გამოცემებით და საჯარო წვდომის განახლებადი მასალებით, რაც თავის მხრივ განაპირობებს გარკვეულ ცვლილებებს სასწავლო კურსების შინაარსშიც.
8. **რეკომენდებულია,** მოხდეს სასწავლო კურსების შედეგების უნარების ნაწილების რეფორმულირება და მკაფიოდ გამოიკვეთოს ტრანსფერული უნარები სილაბუსების შინაარსისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით.
9. **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსების „კვლევის დიზაინი და მეთოდები"; „დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა" და მეთოდოლოგიური სასწავლო კურსების შეფასების არსებული მეთოდები (ყოველკვირეული ქვიზები, კითხვებსა და ესსეზე დაფუძნებული შუალედური და ფინალური გამოცდები, რეფერატი/პრეზენტაცია) შეიცვალოს აღნიშნული სასწავლო კურსებისთვის შესაბამისი შეფასების ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას.
10. **რეკომენდებულია,** პროგრამის სილაბუსების შეფასებითი ნაწილი არ იყოს უნიფიცირებული; შეფასების მეთოდები შეირჩეს სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შინაარსისა და რეალური პროცესების გათვალისწინებით და სილაბუსებში გაიწეროს შერჩეული შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები.
11. **რეკომენდებულია,** პროგრამის ბიუჯეტის სხვა ხარჯები მეტად დეტალურად გაწერილი იქნას, რათა დაზუსტდეს ინტერნაციონალიზაციის, პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობა.
12. **რეკომენდებულია,** შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზუნველყოს პროგრამის პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობა და ჩართულობა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესებში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. **სასურველია,** პროგრამის მიზნებში უფრო ნათლად იქნას გამოკვეთილი ინტერნაციონალიზაციის საკითხები.
2. **სასურველია,** პროგრამის სწავლის შედეგებში ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის ნაწილის განსაზღვრა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
3. **სასურველია,** დასაქმების სფეროების ჩამონათვალში აღნიშნულ იქნას განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა როგორც ეროვნულ, ასევე ქვეყნის ფარგლებს მიღმა უსდ-ებში.
4. **სასურველია,** უსდ-მ უზრუნველყოს სააკრედიტაციო მასალების ტექნიკური ხარვეზების გარეშე წარმოდგენა და სწავლის შედეგების მატრიცა წარმოდგენილ იქნას სამაგისტრო ნაშრომის გათვალისწინებით.
5. **სასურველია,** უსდ-მ უზრუნველყოს სწავლის შედეგების გაზომვა 3 დონიანი სისტემით.
6. **სასურველია,** მომზადდეს ზეპირი გასაუბრების თემატიკა და გასაუბრების დეტალური ინსტრუქცია დროულად განთავსდეს უსდ-ს ვებგვერდზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე მიღება და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ლოგიკური დაკავშირება.
7. **სასურველია,** პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს უცხო ენის/უცხო ენების შემსწავლელი სასწავლო კურსები.

8. **სასურველია,** პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას თავისუფალი კრედიტები თუნდაც ერთი სასწავლო კურსისთვის.
9. **სასურველია,** სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა არ იყოს უნიფიცირებული და კრედიტები განისაზღვროს სასწავლო კურსის შინაარსისა და მოცულობის შესაბამისად.
10. **სასურველია,** სასწავლო კურსების შეფასების კითხვარებში აქცენტი გაკეთდეს დარგობრივი ცოდნის გადაცემის გაზომვადობაზე და გადამოწმდეს სასწავლო კურსები რამდენად გადის ამა თუ იმ საკითხის ღრმა და სისტემურ ცოდნაზე.
11. **სასურველია,** არსებულ და სამომავლო მემორანდუმებში გაიწეროს პრაქტიკის გავლის მიზნით მისაღები სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და მიზანი.
12. **სასურველია,** სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების მეთოდების ცვლილების შემდეგ გადაიხედოს სწავლა-სწავლების მეთოდები და შეირჩეს სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების მეთოდების შესაბამისად.
13. **სასურველია,** გაიზარდოს სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა
14. **სასურველია,** უნივერსიტეტში დაწესდეს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

➢ სოციალურ მეცნიერებათა სკოლის გაწევრიანება საერთაშორისო ასოციაციაში "პოლიტიკის კვლევების ევროპული კონსორციუმი" (https://ecpr.eu/), რომლის ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ სხვადასხვა სემინარზე, კონფერენციასა და საერთაშორისო კვლევით პროექტში ჩართვის შესაძლებლობა.

➢ მაგისტრატურის სტუდენტებისთვის სამთვიანი სტაჟირების გავლის შესაძლებლობა გერმანიის ერთ-ერთ კვლევით ცენტრში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** - პროგრამა ახალია

- **მოსაზრებები უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია რეკომენდაციებთანთან დაკავშირებით. კერძოდ, უსდ ეთანხმება რეკომენდაციებს # 5, 7, 8, 10, 11 და არ ეთანხმება რეკომენდაციებს # 1,2,3,4,6,9,12,13.

აკრედიტაციის ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი არგუმენტები და აკრედიტაციის ჯგუფის წევრების საერთო მოსაზრებით, წარმოდგენილ დასკვნაში მოხდა უსდ არგუმენტების გათვალისწინება #3 რეკომენდაციასთან მიმართებით (2.1. ქვესტანდარტი), რომელიც ზეპირი გასაუბრების თემატიკის მომზადებასა და ვებგვერდზე განთავსებას ეხება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სააკრედიტაციო ჯგუფის მიერ მოხდა შეკითხვის დასმა პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე, სააკრედიტაციო ჯგუფი გაეცნო ვებგვერდზე განთავსებულ მომიჯნავე პროგრამების საგამოცდო ინსტრუქციებს. პროგრამის კომპლექსურობიდან და მისაღებ წინაპირობაში დარგობრივი შეზღუდვის არ არსებობის გამო, სააკრედიტაციო ჯგუფმა აღნიშნული საკითხი რეკომენდაციად განსაზღვრა, თუმცა არგუმენტირებული პასუხის გაცნობის შემდეგ, ჯგუფის ერთობლივი გადაწყვეტილებით, აღნიშნული რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევების ნაწილში. მიუხედავად რჩევების არასავალდებულო ხასიათისა, სააკრედიტაციო ჯგუფი დარწმუნებულია, რომ აღნიშნული თემატიკა მომზადდება და განთავსდება უსდ ვებგვერდზე.

აკრედიტაციის ჯგუფის მიერ არ მოხდა სხვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით არგუმენტების გათვალისწინება. აღნიშნული რეკომენდაციების დეტალური ახსნა-განმარტება წარმოდგენილია რეკომენდაციების აღწერილობით ნაწილებში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „გლობალური მმართველობის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს გლობალური პროცესების შესწავლას და აქცენტს აკეთებს საერთაშორისო პოლიტიკის კომპლექსურობაზე; საერთაშორისო ორგანიზაციების, ინსტიტუციური ჩარჩოებისა და სამართლებრივ-ნორმატიული მექანიზმების როლზე; საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებზე, მათ შორის ეკონომიკურ ასპექტებზე. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით, მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამის მიზნები ასახავს რა ტიპის ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა (კომპლექსური მოვლენების დამოუკიდებლად კვლევის უნარი კონკრეტული ასპექტების გათვალისწინებით) და აქცენტს აკეთებს კონკრეტულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე (ინსტიტუციური განვითარება და სამართლებრივ-ნორმატიული მექანიზმები), რაც შესაბამისია ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამის მიზნები უმეტესწილად შესაბამისია პროგრამის სტრუქტურასთან, პროგრამის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნებში არ იხსენიება დიპლომატია, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს დიპლომატიის შემსწავლელ სავალდებულო სასწავლო კურსს „დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა“ და დიპლომატია მოხსენიებულია პროგრამის სწავლის შედეგებში. შესაბამისად, **რეკომენდებულია,** პროგრამის მიზნებში ასახულ იქნას დიპლომატიის სწავლება პროგრამის მიზნების პროგრამის სტრუქტურასთან, პროგრამის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. პროგრამის მიზნები გულისხმობს ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობას, თუმცა ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე არ არის აქცენტი გაკეთებული. ინტერნაციონალიზაციის

პოლიტიკა დეტალურად არის განმარტებული უსდ-ს თვითშეფასების დოკუმენტში. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა დასტურდება უსდ-ს მიერ წარმოდგენილი მემორანდუმებით, და პერსონალის პირადი საქმეებით. პროგრამის სწავლების ენის (ინგლისური) და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, **სასურველია,** პროგრამის მიზნებში უფრო ნათლად იქნას გამოკვეთილი ინტერნაციონალიზაციის საკითხები. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დასტურდება აკრედიტაციის ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუებით. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებგვერდის საშუალებით. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • უსდ თვითშეფასების ანგარიში • უსდ მისია • უსდ სტრატეგიული გეგმა 2020-2027 • შრომის ბაზრის კვლევა • დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანგარიში • უსდ ვებგვერდი www.ug.edu.ge • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია,** პროგრამის მიზნებში ასახულ იქნას დიპლომატიის სწავლება პროგრამის მიზნების პროგრამის სტრუქტურასთან, პროგრამის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: **სასურველია,** პროგრამის მიზნებში უფრო ნათლად იქნას გამოკვეთილი ინტერნაციონალიზაციის საკითხები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„გლობალური მმართველობის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია ცოდნისა და უნარების სახით.

პროგრამის სწავლის შედეგების ცოდნის ნაწილი ასახავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და აკონკრეტებს დარგობრივი ცოდნის სხვადასხვა ასპექტებს. აღსანიშნავია, რომ შედეგებში გაწერილი დარგობრივი ცოდნა ძირითადად შესაბამისია პროგრამის სტრუქტურასთან, თუმცა ასპეტების დაკონკრეტებისა და ჩამოთვლის დროს ვხვდებით ისეთ საკითხებს, რაც პროგრამის არჩევითი საგნების სილაბუსებშია გათვალისწინებული და არა ძირითად საგნებში (შეიარაღების კონტროლი, მიგრაცია). ამავე დროს, დარგობრივი საკითხების ჩამონათვალში გამორჩენილია პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი თეორიული სასწავლო კურსით („საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“) მიღებული ცოდნა.

პროგრამის სწავლის შედეგების უნარების ნაწილი ასახავს კურსდამთავრებულის დარგობრივ უნარებს სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში და მოიაზრებს როგორც დარგობრივ გაცნობიერებას, ასევე ტრანსფერულ უნარებს, თუმცა ტრანსფერული უნარების მკაფიოდ ფორმულირება გაამარტივებდა პროგრამის შედეგების გაზომვადობას და პროგრამის შინაარსთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღქმას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** პროგრამის შედეგების იმგვარად რეფორმულირება, რომ ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი მკაფიოდ აღწერდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების შესაბამის საკითხებს და გაცნობიერებას, უნარების ნაწილში კი მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი ტრანსფერული უნარები და პროგრამას დაერთოს მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისია პროგრამის მიზნებთან და შინაარსთან. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

წარმოდგენილი პროგრამა ახალია, თუმცა მომიჯნავე მილევადი პროგრამის („გლობალური

მმართველობის და უსაფრთხოების სწავლებების“ ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა) სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად იკვეთება ტენდენცია, რომ პროგრამის მაგისტრანტები და კურსდამთავრებულები გასაუმჯობესებელ მხარედ მიიჩნევენ პრაქტიკული უნარების განვითარებას. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ახალი პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შემდეგ არის დიდი ალბათობა მსგავსი ტენდენციის დაფიქსირებისა. პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე აქცენტი კეთდება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევებშიც, გარე შემფასებლის შეფასებაშიც. **სასურველია,** პროგრამის სწავლის შედეგებში ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის ნაწილის განსაზღვრა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა სწავლა გააგრძელოს განათლების შემდეგ საფეხურზე ან დასაქმდეს პროფესიით და დააკმაყოფილოს პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნები, ვინაიდან პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გვხვდება დასაქმების სავარაუდო სფეროების ჩამონათვალი, თუმცა გამორჩენილია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, რასაც სააკრედიტაციო ჯგუფი ტექნიკურ შეცდომად მიიჩნევს. **სასურველია,** დასაქმების სფეროების ჩამონათვალში აღნიშნულ იქნას განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა როგორც ეროვნულ, ასევე ქვეყნის ფარგლებს მიღმა უსდ-ებში.

პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად უსდ-მ წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევა (მომზადებულია 2019წ.) და დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანგარიში, რომელიც შრომის ბაზრის კვლევის შემდეგ არის მომზადებული. წარმოდგენილი კვლევების მიხედვით, მთავარ პრიორიტეტებად დასახელებულია გლობალური მმართველობის კონკრეტული მიმართულებების ცოდნა და უნარები (კრიტიკული აზროვნება და ანალიტიკური უნარი, უცხო ენაზე გამართული წერა და მეტყველება). აღნიშნული საკითხები ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებში. გარდა შრომის ბაზრის კვლევების შედეგებისა, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების დასახვეწად გამოიყენა ანალოგი უცხოური პროგრამების შედარებითი ანალიზი.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობის შესაძლებლობა დასტურდება სააკრედიტაციო ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიუებით.

უსდ-ის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, გარკვეული პერიოდულობით და პროცესში ჩართულია ერთზე მეტი შემფასებელი. კერძოდ, უსდ ახორციელებს პირდაპირ შეფასებას (სტუდენტთა მიერ მიღებული სემესტრული შეფასებები) და არაპიდაპირ შეფასებას სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით (სტუდენტების, კურსდამთავრებულების,

პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვა). ასევე ხდება სტუდენტებისა და პერსონალის კონფერენციებსა და სხვა აქტივობებში ჩართულობის ანალიზი, პერსონალის სამეცნიერო მუშაობის შეფასება, საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზი, ბაზრის კვლევა. სხვადასხვა ტიპის შეფასებისთვის პასუხისმგებელია სხვადასხვა უწყება (ადმინისტრაცია, ხარისხის განვითარების სამსახური, პერსონალის მართვის სამსახური) და განსაზღვრულია სხვადასხვა ვადები (1,2,3,4 წელი). მიღებული მონაცემების საფუძველზე ხდება სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენა. ფუნქციონირებს პროგრამის განვითარების საბჭო. მიღებული შედეგების შეფასება ხდება სკოლის საბჭოზე, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს ცვლილებებისთვის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და მექანიზმები ადეკვატურია და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენას.

წარმოდგენილი პროგრამა ახალია, თუმცა უსდ-მ წარმოადგინა მომიჯნავე პროგრამასთან (გლობალური მმართველობის და უსაფრთხოების სწავლებების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა) დაკავშირებული კვლევები. აღსანიშნავია, რომ სწორედ აღნიშნულმა მომიჯნავე (მილევადი) პროგრამამ შექმნა წარმოდგენილი ახალი პროგრამის შემუშავების საფუძველი. წარმოდგენილი კვლევებით დასტურდება გარკვეული ცვლილებების გატარების შესაძლებლობა პროგრამის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, სტუდენტთა გამოკითხვებზე დაყრდნობით, ახალი პროგრამის სტრუქტურაში აღარ არის ჩართული 1 სასწავლო კურსი (დიპლომატიის ისტორია).

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ახალი პროგრამის სამიზნე ნიშნულების მატრიცა ეფუძნება მომიჯნავე პროგრამის სასწავლო კურსებში მიღებული შეფასებების ანალიზს (სასწავლო კურსების ჩამონათვალი თითქმის იდენტურია ახალ სასწავლო პროგრამაში). აღნიშნული მომიჯნავე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით უსდ-მ ასევე წარმოადგინა პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მატრიცა (ძირითადი სასწავლო კურსების ჩამონათვალი იდენტურია ახალ პროგრამაში). წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ უსდ ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგს და სამიზნე ნიშნულებთან დადარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მატრიცაში არ არის ასახული სამაგისტრო ნაშრომი, რაც სკოლის ხარისხის განვითარების სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, არის ტექნიკური ხარვეზი. **სასურველია,** უსდ-მ უზრუნველყოს სააკრედიტაციო მასალების ტექნიკური ხარვეზების გარეშე წარმოდგენა და სწავლის შედეგების მატრიცა წარმოდგენილ იქნას სამაგისტრო ნაშრომის გათვალისწინებით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან განხორციელებულია ერთ დონიანი სისტემით. ახალი პროგრამის ამუშავების შემდეგ და სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული

ახალი მონაცემების ანალიზის შემდგომ, **სასურველია,** უსდ-მ უზრუნველყოს სწავლის შედეგების გაზომვა 3 დონიანი სისტემით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების პროცესს და იღებს საჭირო მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის. ასევე დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს პროგრამის სწავლს შედეგებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- შრომის ბაზრის კვლევა
- დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანგარიში
- მომიჯნავე პროგრამის კვლევები (მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა; რაოდენობრივი კვლევა; ლექტორების კმაყოფილების ანგარიში; მიღებული განათლების შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ)
- ანალოგი პროგრამების შედარებითი ანალიზი
- პერსონალის განმავითარებელი ღონისძიებები
- სამიზნე ნიშნულები
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სამუშაოს აღწერილობა
- უსდ ვებგვერდი www.ug.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის შედეგების იმგვარად რეფორმულირება, რომ ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი მკაფიოდ აღწერდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების შესაბამის საკითხებს და გაცნობიერებას, უნარების ნაწილში კი მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი ტრანსფერული უნარები და პროგრამას დაერთოს მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგებში ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის ნაწილის განსაზღვრა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასურველია, დასაქმების სფეროების ჩამონათვალში აღნიშნულ იქნას განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა როგორც ეროვნულ, ასევე ქვეყნის ფარგლებს მიღმა უსდ-ებში.

სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს სააკრედიტაციო მასალების ტექნიკური ხარვეზების გარეშე წარმოდგენა და სწავლის შედეგების მატრიცა წარმოდგენილ იქნას სამაგისტრო ნაშრომის გათვალისწინებით.

სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს სწავლის შედეგების გაზომვა 3 დონიანი სისტემით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის საფუძველზე. გარდა საერთო სამაგისტრო გამოცდებისა, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა ინგლისურ ენაში წერითი გამოცდა და სპეციალობაში ინგლისურ ენაზე ზეპირი გასაუბრება. ინგლისური ენის სავალდებულო კომპეტენცია განისაზღვრება B2 დონით, რაც განისაზღვრება საუნივერსიტეტო გამოცდის მინიმუმ 70%-იანი ბარიერის გადალახვით ან ბაკალავრიატში ინგლისურ ენაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე ან საერთაშორისოდ აღიარებული ენის გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით. დაკონკრეტებულია საერთაშორისო სერთიფიკატები (IELTS, TOEFL, Cambridge English Exam) და აღნიშნული საერთაშორისო გამოცდების B2 დონის შესაბამისი ქულები (IELTS - 5.5-6.5; TOEFL 87-109 IBT, Cambridge English Exam -160- 179).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, კერძოდ, ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციის აუცილებლობას. აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე ჩაბარება არ არის შეზღუდული დარგობრივი მახასიათებლებით. შესაბამისად, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველისთვის გარდა ენობრივი კომპეტენციის დადასტურებისა, მნიშვნელოვანია ზეპირი გასაუბრების წარმატებით გავლა. მომიჯნავე პროგრამების შემთხვევაში უსდ-ს დაკონკრეტებული აქვს ზეპირი გასაუბრების თემატიკა და საკითხები. პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მსგავსი ინსტრუქცია მომზადდება წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაშიც. **სასურველია,** მომზადდეს ზეპირი გასაუბრების თემატიკა და გასაუბრების დეტალური ინსტრუქცია დროულად განთავსდეს უსდ-ს ვებგვერდზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე მიღება და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ლოგიკური დაკავშირება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია უსდ ვებგვერდის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, მომზადდეს ზეპირი გასაუბრების თემატიკა და გასაუბრების დეტალური ინსტრუქცია დროულად განთავსდეს უსდ-ს ვებგვერდზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე მიღება და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ლოგიკური დაკავშირება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა აგებულია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დებულების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობაა 120 ECTS: 60 კრედიტი პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი, 30 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები. აღნიშნული თანაფარდობა ლოგიკურია და ადეკვატური.

პროგრამის სავალდებულო ნაწილი წარმოდგენილია 10 სასწავლო კურსით და სამაგისტრო ნაშრომით. პროგრამის სტრუქტურის ლოგიკის მიხედვით, სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ წარმოადგენს პროგრამის თეორიულ კურსს. სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ უზრუნველყოფს მეთოდოლოგიური ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიღებას. 7 სასწავლო კურსი აქცენტს აკეთებს გლობალური მმართველობის სხვადასხვა ასპექტებზე (ძირითადი აქცენტი კეთდება საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობასა და გლობალიზაციაზე, ასევე ერთი სასწავლო კურსი ეძღვნება ცივი ომის შემდგომი პერიოდის უსაფრთხოებას). პროგრამის კვალიფიკაციასთან შესაბამისობისთვის 1 სასწავლო კურსი ეძღვნება დიპლომატიის თეორიასა და პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პოლიტიკა, როგორც დარგი, თავის თავში მოიაზრებს სხვადასხვა ასპექტებს, ამ ასპექტთა ურთიერთკავშირის ლოგიკას და თეორიულ ხედვას, საერთაშორისო წესრიგის საკითხებს და სხვ. შესაბამისად, აკრედიტაციის ჯგუფის დაკვირვებით, პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს საერთაშორისო პოლიტიკის შემსწავლელ ცალკე სასწავლო კურსს, რომელიც შექმნის თეორიულ საფუძველს გლობალური პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტების ცალკე სასწავლო კურსად განხილვამდე და ასევე ცალკეული თემების სახით ასახავს საერთაშორისო პოლიტიკის იმ ასპექტებსაც, რომლებიც არ არის ცალკეულ სასწავლო კურსად წარმოდგენილი პროგრამაში. ასევე, წარმოაჩენს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და საერთაშორისო პრაქტიკის კავშირს, საერთაშორისო სამართლის როლს საერთაშორისო პოლიტიკაში, უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის ქეისების განხილვის პრაქტიკული უნარის განვითარებას და სხვ. სასწავლო კურსში „საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა“ ერთი სასწავლო კვირა ეთმობა მსოფლიო პოლიტიკის განხილვას (ერთა ლიგიდან დღემდე), რაც არ არის საკმარისი შექმნას საერთაშორისო პოლიტიკის თეორიული საფუძველი. სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ ვერ შექმნის ამგვარ თეორიულ საფუძველს აღნიშნული

კვალიფიკაციის პროგრამის სასწავლო კურსებისთვის და სწორედ ამიტომაც, ეს სასწავლო კურსი არ არის განხილული წინაპირობად სხვა სასწავლო კურსებისთვის. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არ არის შეზღუდული დარგობრივად, რაც კიდევ უფრო აუცილებელს ხდის მსგავსი სასწავლო კურსის სტრუქტურაში გათვალისწინებას. **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკა", რომელიც ერთის მხრივ მოიცავს საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო წესრიგის თეორიულ ხედვებს, საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს, კონკრეტული ქეისების განხილვას, და მეორეს მხრივ, შექმნის წინაპირობას ზოგიერთი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის.

პროგრამაში მეთოდოლოგიის შემსწავლელი სასწავლო კურსია „კვლევის დიზაინი და მეთოდები". შინაარსის მიხედვით სასწავლო კურსი ერთგვარი შესავალი კურსია, სადაც აქცენტი კეთდება კვლევის დიზაინზე, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები განხილულია მოკლედ ერთ სასწავლო კვირაში, ხოლო სასწავლო კურსის ლიტერატურა გამიზნულია შესავალი კურსისთვის („Research methodology: a step-by-step guide for beginners"). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამის წინაპირობა არ არის შეზღუდული დარგობრივად და პროგრამაზე შესაძლოა ჩააბაროს სტუდენტმა, რომელსაც საბაკალავრო დონეზე არ აქვს გავლილი მეთოდოლოგიური სასწავლო კურსი (აკადემიური წერა/კვლევის დიზაინი/კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში) და/ან არ აქვს გამოცდილება საბაკალავრო ნაშრომის მომზადების, მსგავსი სასწავლო კურსი გამართლებულია პროგრამის სტრუქტურაში. თუმცა, აღნიშნული სასწავლო კურსი არ არის საკმარისი სამაგისტრო საფეხურისთვის, სადაც სავალდებულოა კვლევითი კომპონენტი (30 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომი). მაგალითად, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის დებულების თანახმად, სავალდებულოა სტუდენტმა გამოიყენოს APA სტილი, აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსი კი საერთოდ არ მოიცავს ლიტერატურის დამოწმების სტილის სწავლებას და სხვ. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლების გამოკითხვაშიც ხაზგასმულია კვლევის მეთოდოლოგიაზე აქცენტი (მათ შორის, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის უნარი, რაც არ არის გათვალისწინებული აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსში) და გარე შემფასებლის რჩევაც ეხება პროგრამის მეთოდოლოგიური ნაწილის გაძლიერებას. ასევე, უსდ-მ წარმოადგინა მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამაზე დაცული სამაგისტრო ნაშრომები, სადაც პრობლემურია ნაშრომის მეთოდოლოგიური ნაწილი, რაც ასევე ადასტურებს პროგრამის მეთოდოლოგიური ნაწილის გაძლიერების აუცილებლობას. **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი და მეთოდები" ჩანაცვლდეს ორი მეთოდოლოგიური კურსით, სადაც ერთი აქცენტს გააკეთებს კვლევის დიზაინსა და აკადემიურ წერაზე სწავლების საფეხურისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო მეორე ორიენტირებული იქნება კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებზე სწავლების საფეხურისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებები პროგრამაში შესაძლოა განხორციელდეს მესამე სემესტრის სასწავლო კურსების არჩევით ბლოკში გადატანით (აღნიშნული 2 სასწავლო კურსი კონკრეტულ ასპექტებზე აკეთებს აქცენტს და შესაბამისია არჩევითი სასწავლო კურსების ლოგიკისთვის, ასევე, მედიის საკითხები არ არის გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგებში) ან სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილის მოცულობის გაზრდით ან სხვადასხვა სასწავლო კურსისთვის სხვადასხვა მოცულობის კრედიტების მინიჭებით.

პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი წარმოდგენილია 15 არჩევითი საგნით, რომლებიც განსაზღვრულია სხვადასხვა სემესტრში სწავლებისთვის. წარმოდგენილი არჩევითი სასწავლო კურსები განიხილავს საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა საინტერესო ასპექტებს (საერთაშორისო უსაფრთხოება, საერთაშორისო ეკონომიკა, საერთაშორისო სამართალი).

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი იდენტურია მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამისთვისაც და პროგრამის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის **რეკომენდებულია** პროგრამის სტრუქტურის არჩევითი საგნების ბლოკი გამდიდრდეს კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის შექმნილი ისეთი საკითხების შემსწავლელი სასწავლო კურსებით, როგორიცაა დიპლომატიის სხვადასხვა ასპექტები, საგარეო პოლიტიკის ანალიზი, საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტების შედარებითი ანალიზი და მსგავსი.

აღსანიშნავია, რომ გარე შემფასებლის შეფასებაში ასევე აღნიშნულია პროგრამაში დიპლომატიასთან დაკავშირებული თემატიკის სიმწირე.

დარგის სპეციფიკისა გათვალისწინებით, ასევე სასურველი იქნებოდა პროგრამამ სტუდენტს მისცეს მეორე უცხო ენის/უცხო ენების A1/A2 დონეზე შესწავლის შესაძლებლობა. **სასურველია,** პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს უცხო ენის/უცხო ენების შემსწავლელი სასწავლო კურსები.

პროგრამის სტრუქტურა არ ითვალისწინებს კრედიტებს თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსისთვის/კურსებისთვის. **სასურველია,** პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას თავისუფალი კრედიტები თუნდაც ერთი სასწავლო კურსისთვის.

პროგრამის სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა ლოგიკურია და ადეკვატური, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სასწავლო კურსებიდან მხოლოდ ერთ სასწავლო კურსში ფიქსირდება წინაპირობა და ერთ სასწავლო კურსში თანაპირობა. ზემოთ აღნიშნული „საერთაშორისო პოლიტიკის“ სასწავლო კურსის პროგრამის სტრუქტურაში დამატება უზრუნველყოფს რამდენიმე სასწავლო კურსისთვის წინაპირობის შექმნას. გარდა ამისა, სასწავლო კურსი „საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა“ უნდა განისაზღვროს წინაპირობად იმ სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც გლობალურ მმართველობასა და ცალკეულ საერთაშორისო ორგანიზაციებზე აკეთებს აქცენტს. შესაბამისად, **რეკომენდებულია**, პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობების განახლება პროგრამის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელების შემდგომ.

პროგრამის სტრუქტურის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით ნაწილში მრავალფეროვანი საკითხებისა და ასპექტების წინ წამოწევა უდაოდ საინტერესოს ხდის პროგრამას და ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს.

განხორციელებული ინტერვიუებით დასტურდება პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული პირების ჩართულობა.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- პრერეკვიზიტების მატრიცა
- გარე შეფასება
- მომიჯნავე პროგრამის სამაგისტრო ნაშრომები
- შრომის ბაზრის კვლევა
- დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანგარიში
- უსდ ვებგვერდი www.ug.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკა“, რომელიც ერთის მხრივ მოიცავს საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო წესრიგის თეორიულ ხედვებს, საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს, კონკრეტული ქეისების განხილვას, და მეორეს მხრივ, შექმნის წინაპირობას ზოგიერთი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის.

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ ჩანაცვლდეს ორი მეთოდოლოგიური კურსით, სადაც ერთი აქცენტს გააკეთებს კვლევის დიზაინსა და აკადემიურ წერაზე სწავლების საფეხურისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო მეორე ორიენტირებული იქნება კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებზე სწავლების საფეხურისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის არჩევითი საგნების ბლოკი გამდიდრდეს კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის შექმნილი ისეთი საკითხების შემსწავლელი სასწავლო კურსებით, როგორიცაა დიპლომატიის სხვადასხვა ასპექტები, საგარეო პოლიტიკის ანალიზი, საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტების შედარებითი ანალიზი და მსგავსი. აღსანიშნავია, რომ გარე შემფასებლის შეფასებაში ასევე აღნიშნულია პროგრამაში დიპლომატიასთან დაკავშირებული თემატიკის სიმწირე.

რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობების განახლება პროგრამის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელების შემდგომ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს უცხო ენის/უცხო ენების შემსწავლელი სასწავლო კურსები.

სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას თავისუფალი კრედიტები თუნდაც ერთი სასწავლო კურსისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაში ძირითადი საგნები წარმოდგენილია 10 სასწავლო კურსით, არჩევითი საგნები კი 15 სასწავლო კურსით, რომლებიც დაჯგუფებულია სემესტრულად (სემესტრი 1,2,3).

როგორც ძირითადი, ასევე არჩევითი სასწავლო კურსები სტანდარტულად 6 კრედიტიანია და გულისხმობს კვირაში 2 საკონტაქტო საათს (ლექცია/სემინარი). პროგრამა ახალია და სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა პროგრამის სპეციფიკისა და საგანმანათლებლო საფეხურის გათვალისწინებით ამ ეტაპზე არ აჩენს

შეკითხვებს. პროგრამის პრაქტიკაში ამუშავებისა და შედეგების გაზომვადობის პროცესში შესაძლოა გამოიკვეთოს ახალი ტენდენციები. **სასურველია,** სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა არ იყოს უნიფიცირებული და კრედიტები განისაზღვროს სასწავლო კურსის შინაარსისა და მოცულობის შესაბამისად.

ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება სილაბუსის შინაარსს და საგანმანათლებლო საფეხურს.

უსდ-ს აქვს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსების სწავლის შედეგებში მრავლობითად გვხვდება გარკვეული საკითხების ღრმა და სისტემური სწავლება. პროგრამა ახალია და ამა თუ იმ შედეგზე გასვლის დადასტურება უნდა მოხდეს სასწავლო კურსების შეფასების პროცესში. **სასურველია,** სასწავლო კურსების შეფასების კითხვარებში აქცენტი გაკეთდეს დარგობრივი ცოდნის გადაცემის გაზომვადობაზე და გადამოწმდეს სასწავლო კურსები რამდენად გადის ამა თუ იმ საკითხის ღრმა და სისტემურ ცოდნაზე.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების ლიტერატურაში უმეტესად გამოყენებულია 10 წელზე მეტი ხნის ლიტერატურა. როგორც ძირითად, ასევე არჩევით სასწავლო კურსებში გამოყენებულია რიდერები, რომლებიც სტანდარტულად მომზადებულია 2019წ. (მასში შემავალი სტატიები ასევე განეკუთვნება წინა წლებს). უსდ-ს პრაქტიკიდან გამომდინარე, ამა თუ იმ სასწავლო კურსს ჰყავს კურატორი (სილაბუსის ავტორი) და სასწავლო კურსის განმახორციელებელი/განმახორციელებლები. სილაბუსის ცვლილებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კურატორს და არა განმახორციელებელს, რაც როგორც ჩანს აფერხებს სილაბუსების განახლების პროცესს, მიუხედავად იმისა, რომ უსდ ქმნის შესაძლებლობას და ვალდებულებას სილაბუსი განახლდეს ყოველი სემესტრის დასაწყისში, საჭიროების შემთხვევაში კი შემენილ იქნას ახალი ლიტერატურა. ასევე, ინტერვიუების პროცესში დაფიქსირდა, რომ ზოგიერთი ლექტორი არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას, რომელი სასწავლო კურსის განხორციელება დაევალება ახალ პროგრამაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროგრამა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სილაბუსების უმეტესობა დაწერილია წლების წინ, ხოლო 2019 წელს მოხდა ლიტერატურის მობილიზებული განახლება რიდერების საშუალებით (მათ შორის დიდი ნაწილი შედგენილია უცხოელი ლექტორის მიერ, რომელიც აღარ არის დაკავშირებული უსდ-სთან). ლიტერატურის მუდმივი განახლება და მიმდინარე გამოწვევებთან მისადაგება მნიშვნელოვანია დარგის სპეციფიკიდან და თავად სასწავლო კურსების სფეციფიკიდან გამომდინარე. მაგალითად, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებში პუტინის 2016 წლის გეგმების განხილვა, ნატოს შესახებ 2007 წელს გამოცემული ლიტერატურაზე დაყრდნობა, კავკასიის კონფლიქტების განხილვისთვის 2010 წელს გამოცემული ლიტერატურაზე დაყრდნობა, ევროკავშირის შესწავლა 2005 წელს გამოცემული სახელმძღვანელოთი, აშშ მმართველობის ტრამპის პრეზიდენტობით დასრულება, საერთაშორისო მედიის პოლიტიკაზე ზეგავლენის 2011 წლის მასალით დასრულება და სხვ. აჩენს გარკვეულ შეკითხვებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სილაბუსების ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი სხვადასხვა მუდმივად განახლებადი და საჯარო წვდომის ონლაინ მასალები (საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები და ქვეგვერდები, ანალიტიკური ორგანიზაციების გვერდები („think tanks“), საერთაშორისო მედია აუთლეტები...), რაც უზრუნველყოფდა აღნიშნული პრობლემის მოგვარებას და შესაბამისი იქნებოდა დარგის სპეციფიკასთან, საგანმანათლებლო საფეხურთან და სასწავლო კურსების შეფასების სისტემასთან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი და არჩევითი სასწავლო

კურსების სილაბუსებში განახლდეს და გამრავალფეროვანდეს ლიტერატურა ახალი გამოცემებით და საჯარო წვდომის განახლებადი მასალებით, რაც თავის მხრივ განაპირობებს გარკვეულ ცვლილებებს სასწავლო კურსების შინაარსშიც.

სასწავლო კურსების შედეგების უნარების ნაწილი ფორმულირებულია იმგვარად, რომ მოიცავს დარგობრივ უნარებს და მოიაზრებს ტრანსფერულ უნარებს. აღსანიშნავია, რომ ტრანსფერული უნარები არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი შედეგებში. მაგალითად, თითქმის არც ერთ სილაბუსში არ ფიქსირდება პრეზენტირების ან წერის უნარი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სილაბუსში უნიფიცირებულად სავალდებულოა პრეზენტაცია/რეფერატი, ასევე ბერვ სასწავლო კურსში შეფასების მეთოდად გამოიყენება ანალიტიკური ესსეები. **რეკომენდებულია,** მოხდეს სასწავლო კურსების შედეგების უნარების ნაწილების რეფორმულირება და მკაფიოდ გამოიკვეთოს ტრანსფერული უნარები სილაბუსების შინაარსისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- რაოდენობრივი კვლევა კითხვარით
- უსდ ვებგვერდი www.ug.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლდეს და გამრავალფეროვანდეს ლიტერატურა ახალი გამოცემებით და საჯარო წვდომის განახლებადი მასალებით, რაც თავის მხრივ განაპირობებს გარკვეულ ცვლილებებს სასწავლო კურსების შინაარსშიც.

რეკომენდირებულია, მოხდეს სასწავლო კურსების შედეგების უნარების ნაწილების რეფორმულირება და მკაფიოდ გამოიკვეთოს ტრანსფერული უნარები სილაბუსების შინაარსისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა არ იყოს უნიფიცირებული და კრედიტები განისაზღვროს სასწავლო კურსის შინაარსისა და მოცულობის შესაბამისად.

სასურველია, სასწავლო კურსების შეფასების კითხვარებში აქცენტი გაკეთდეს დარგობრივი ცოდნის გადაცემის გაზომვადობაზე და გადამოწმდეს სასწავლო კურსები რამდენად გადის ამა თუ იმ საკითხის ღრმა და სისტემურ ცოდნაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი მასალებიდან და ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ საქართველოს უნივერსიტეტში გლობალური მმართველობის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის საფუძველზე, სტუდენტთა აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებას. მაგისტრანტების კვლევითი უნარების განვითარებისათვის პროგრამის ნაწილია შემდეგი სამი სავალდებულო კურსი: კვლევის დიზაინი და მეთოდები, დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა, სამაგისტრო ნაშრომი. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსის „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ უპირველესი დანიშნულებაა სტუდენტს განუვითაროს კვლევისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები. აღნიშნული სილაბუსის შეფასების მეთოდები (ქვიზი, შუალედური და ფინალური გამოცდები) ვერ უზრუნველყოფს მსგავსი უნარების გამომუშავებას. მსგავსი პრობლემა ფიქსირდება ასევე სასწავლო კურსში „დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა“ რომლის სილაბუსის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიხედვით, სასწავლო კურსმა სტუდენს უნდა მისცეს ხელშეკრულებების, დიპლომატიური კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის მომზადების წერითი უნარი, მოლაპარაკებების ხელოვნებისა და დიპლომატიური პროტოკოლის პრაქტიკაში გამოყენების ტრანსფერული უნარები. სილაბუსის შინაარსი შეესაბამება აღნიშნულ მიზნებს, თუმცა სილაბუსში მითითებული შეფასების ფორმები (ქვიზები, შუალედური და ფინალური გამოცდა) ვერ უზრუნველყოფს მსგავსი შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ უსდ-მ წარმოადგინა მომიჯნავე პროგრამის კვლევები, სადაც აღნიშნული სილაბუსები იდენტურია. სტუდენტთა გამოკითხვების შედეგად ფიქსირდება, რომ ყველაზე დაბალ შეფასებას პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით სტუდენტები აფიქსირებენ პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირებით. უსდ-ის კომენტარის მიხედვით, პრობლემის ამ სახით დაფიქსირება გამოწვეულია იმით, რომ სტუდენტებმა ვერ აღიქვეს, რომ პრაქტიკული უნარები სხვადასხვა სასწავლო კურსებშია ჩაშენებული და ადმინისტრაციამ განახორციელა შეხვედრა სტუდენტებთან და პრობლემის ახსნა-განმარტება. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული უნარების განვითარებაზე აქცენტს აკეთებენ დამსაქმებლებიც და პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება მოხსენიებულია გარე შემფასებლის შეფასებაშიც. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსების „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ და „დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა“ შეფასების არსებული მეთოდები (ყოველკვირეული ქვიზები, კითხვებსა და ესსეზე დაფუძნებული შუალედური და ფინალური გამოცდები, რეფერატი/პრეზენტაცია) შეიცვალოს აღნიშნული სასწავლო კურსებისთვის შესაბამისი შეფასების ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამისათვის აუცილებელი პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსების სხვა სილაბუსებშიც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსების სწავლის შედეგების უნარების ნაწილში არ არის გამოკვეთილი ტრანსფერული უნარები, რის შესახებაც რეკომენდაცია გაცემულია 2.3. ნაწილში, ხოლო პროგრამის

როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სასწავლო კურსების შეფასების სისტემა უნიფიცირებულია და ნაკლებად მორგებული დარგის სპეციფიკასთან და საგანმანათლებლო საფეხურთან. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, რეკომენდაცია გაცემულია 2.6. ნაწილში.

გლობალური მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული კონფერენცია, რომლის ფარგლებში თავიანთ შეფასებებს და შეხედულებებს აზიარებენ უსაფრთხოების დარგში მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები. უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს უსაფრთხოების ვირტუალური პლატფორმა, რომლის საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით ტარდება ტრენინგები საქართველოს უსაფრთხოების სისტემის მუშაობის, კრიზისულ სიტუაციაში პოლიტიკური სისტემების მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობის, შესაძლო სცენარების ანალიზის მიმართულებების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მაგისტრატურის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გამოაქვეყნონ სტატიები უნივერსიტეტის ინგლისურენოვან სამეცნიერო ჟურნალში(Caucasus Journal of Social Science). განსაკუთრებით მისასალმებელია სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების მიზნით სოციალურ მეცნიერებათა სკოლის გაწევრიანება საერთაშორისო ასოციაციაში "პოლიტიკის კვლევების ევროპული კონსორციუმი" (https://ecpr.eu/), რომლის ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ სხვადასხვა სემინარზე, კონფერენციასა და საერთაშორისო კვლევით პროექტში ჩართვის შესაძლებლობა. ნახსენები ინიციატივების გარდა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ინიცირებით დაიწყო თანამშრომლობა ბილეფელდის უნივერსიტეტთან და ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტთან, ასევე ჰესენის მშვიდობის კვლევის ცენტრთან. იგეგმება საერთაშორისო კვლევითი პროექტი „ვოლკსვაგენის პროექტები პოსტ-საბჭოთა კვლევების შესახებ". მისასალმებელია, რომ გლობალური მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ პრაქტიკა გაიარონ გერმანიის ერთ-ერთ კვლევით ცენტრში სამი თვის განმავლობაში.

ზემოთ აღნიშნული პარტნიორი უნივერსიტეტების გარდა, გლობალური მმართველობის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), მარკეთ ინთელიჯენს კაუკასუს, საქართველოს ატლანტიკური საბჭო, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ და სხვა. მემორანდუმების რაოდენობა უზრუნველყოფს მსურველი სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლას. ამავე დროს ხაზგასასმელია, რომ ამ კომპონენტს სავალდებულო სტატუსი არა აქვს და შემოთავაზებულია როგორ სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების დამატებითი შესაძლებლობა, რაც მისასალმებელია. ამავე დროს, **სასურველია,** არსებულ და სამომავლო მემორანდუმებში გაიწეროს პრაქტიკის გავლის მიზნით მისაღები სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და მიზანი. ასეთი ჩანაწერი არსებობს, მაგალითად, IDFI-თან თანამშრომლობის ფარგლებში დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან ბრძოლის აკადემიური კურსის შემთხვევაში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევის პროცესში ასახულია ეთიკის ნორმები. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს გათვალისწინებულია კონსულტაციები სამეცნიერო ხელმძღვანელთან და ცალკეული სასწავლო კურსები, სადაც სტუდენტი ეცნობა ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენების წესებს და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, როგორიცაა „კვლევის დიზაინი და კვლევის მეთოდები". ამავე დროს, იკვეთება საჭიროება პროგრამის

სტრუქტურას დაემატოს აკადემიური წერის სასწავლო კურსი, რომელიც ხელს შეუწყობდა მაგისტრანტების აკადემიური წერის პრინციპების ეფექტიან გამოყენებას სამაგისტრო და სხვა კვლევითი ნაშრომების წერის დროს. პროგრამის სტრუქტურის მეთოდოლოგიური ნაწილის გაძლიერებასთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემულია 2.2. ნაწილში. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესის ფარგლებში სკოლის ნაშრომების დაცვის დებულებაში გათვალისწინებულია ნაშრომის ხარისხიანი შესრულებისთვის ყველა საკვანძო ეტაპი, როგორიცაა სამაგისტრო ნაშრომის პროექტის თემატიკის შერჩევა, კვლევის ინსტრუმენტის დამტკიცება, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის წარდგენა, საბოლოო პროექტის წინასწარი განაცხადი, პროექტის დაცვა. აღნიშნული კომპონენტების შესახებ ინფორმირება დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებებთან გასაუბრებების დროსაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით • უსდ თვითშეფასების ანგარიში • ინფორმაცია სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო კონფერენციებში. • დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანგარიში • მომიჯნავე პროგრამის კვლევები • გარე შეფასება • ნაშრომების დაცვის დებულება • უსდ ვებგვერდი www.ug.edu.ge • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსების „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ და „დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა“ შეფასების არსებული მეთოდები (ყოველკვირეული ქვიზები, კითხვებსა და ესსეზე დაფუძნებული შუალედური და ფინალური გამოცდები, რეფერატი/პრეზენტაცია) შეიცვალოს აღნიშნული სასწავლო კურსებისთვის შესაბამისი შეფასების ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: **სასურველია,** არსებულ და სამომავლო მემორანდუმებში გაიწეროს პრაქტიკის გავლის მიზნით მისაღები სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და მიზანი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • სოციალურ მეცნიერებათა სკოლის გაწევრიანება საერთაშორისო ასოციაციაში “პოლიტიკის კვლევების ევროპული კონსორციუმი” (https://ecpr.eu/), რომლის ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ სხვადასხვა სემინარზე, კონფერენციასა და საერთაშორისო კვლევით პროექტში ჩართვის შესაძლებლობა. • მაგისტრატურის სტუდენტებისთვის სამთვიანი სტაჟირების გავლის შესაძლებლობა გერმანიის ერთ-ერთ კვლევით ცენტრში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი გლობალური მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისათვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა ვერბალური (ინტერაქცია, დიალოგი); წიგნსა და წყაროზე მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი (მულტიმედიური საშუალებებით); ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; შემთხვევის შესწავლა (case study); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაში; ელექტრონული სწავლება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. აღნიშნული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურს.

პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სალექციო პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი მეთოდები, თუმცა უნდა აღინიშნოს, სასწავლო კურსების სილაბუსებში აღნიშნული მეთოდები ხშირად უნიფიცირებულია და არ მოიხსენიება ის მეთოდებიც კი, რაც რეალობაში გამოიყენება. გარდა აღნიშნულისა, შეფასების მეთოდების ცვლილება (რის შესახებაც რეკომენდაცია გაცემულია 2.6. ნაწილში) გამოიწვევს სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდების ცვლილებასაც. **სასურველია,** სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების მეთოდების ცვლილების შემდეგ გადაიხედოს სწავლა-სწავლების მეთოდები და შეირჩეს სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების მეთოდების შესაბამისად.

პროგრამის ძირითადი სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება პროგრამის კურიკულუმს. კონკრეტული სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ასევე პერსონალს აქვს შესაძლებლობა მეთოდები შეარჩიოს ყოველი სემეტრის დაწყების წინ სილაბუსის ბაზაში ატვირთვის პროცესში.

პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურს, სწავლების შინაარსსა და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების მეთოდების ცვლილების შემდეგ გადაიხედოს სწავლა-სწავლების მეთოდები და შეირჩეს სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების მეთოდების შესაბამისად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებთან. შეფასების შესახებ ინფორმაციის მიღება სტუდენტებს შეუძლიათ როგორც კურსის სილაბუსების, ასევე აკადემიურ პერსონალთან უშუალო კომუნიკაციისა და პროგრამის ფარგლებში მოქმედი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ცოდნის შედეგების შეფასების ელექტრონული სისტემა შესაძლებლობას იძლევა ინდივიდუალურად გაეცნოს სტუდენტი შეფასების შედეგებს. აღნიშნული ელექტრონული სისტემა გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტს იქონიოს უკუკავშირი ლექტორთან. განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების წესებს და მათი დანერგვისათვის იღებს მხარდაჭერას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული შეხვედრებითა და კონსულტაციებით. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების წესებისა და სააპელაციო სისტემის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდება აკადემიურ პერსონალს პროგრამის წარმოადგენლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, წარმოადგენს შეფასებათა 100 ქულიან სისტემას, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნით შეფასებას/გამოცდას. გარდა აღნიშნულისა, სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები მოიცავს ასევე შემდეგ კომპონენტებს: წერით სემინარებს, ზეპირ გამოკითხვებს, პრეზენტაციის მომზადებას, თემატური ესსეს მომზადებას და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროგრამის ყველა სილაბუსში შეფასების მეთოდები წარმოდგენილია უნიფიცირებული სახით (წერითი ქვიზები, ღია კითხვებსა და ესსეზე დაფუძნებული შუალედური და ფინალური გამოცდები, რეფერატის მომზადება/პრეზენტირება). მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ სტუდენტებს აქვთ სურვილი ქვიზების სისტემის შეცვლის. ყოველკვირეული 2 ქულიანი წერითი ქვიზი არ არის მორგებული ცალკეული კურსის საჭიროებაზე და უფრო მეტად სტუდენთა ლექციაზე დასწრების მაღალი მაჩვენებლის წასახალისებლად გამოიყენება. მომიჯნავე პროგრამის პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ სემინარებზე შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებია გამოყენებული (ზეპირი, წერითი, საშინაო დავალების გამოგზავნა, პრეზენტირება), რაც სილაბუსებში ასახულია როგორც სტანდარტული 2 ქულიანი ქვიზი. ამდენად აუცილებელია დაკონკრეტდეს თუ რა სახის გამოკითხვას გულისხმობს მოცემული მეთოდი, რითაც კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესებდა სწავლის შედეგების მიღწევის პროცესი. აღსანიშნავია, რომ სილაბუსების შინაარსში ხშირად იხსენიება სხვადასხვა ტიპის აქტივობა (ქეისის განხილვა, ანალიტიკური ესსეს მომზადება) რაც ადასტურებს რეალურ სასწავლო პროცესში სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და შეფასების მეთოდების მრავალფეროვნებას. უსდ ადასტურებს მოქნილობას და მზადყოფნას, სასწავლო კურსების შეფასების მეთოდების დივერსიფიკაციის შესახებ.

რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსების შეფასებითი ნაწილი არ იყოს უნიფიცირებული; შეფასების მეთოდები შეირჩეს სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შინაარსისა და რეალური პროცესების გათვალისწინებით და სილაბუსებში გაიწეროს შერჩეული შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები.

პროგრამა მოიცავს 30 კრედიტიან სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. კერძოდ, პროგრამის დასასრულს, მეოთხე სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ სამაგისტრო ნაშრომი, რომლის შეფასების წესი მოცემულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 31 მარტის N 13/21 ოქმით დამტკიცებულ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვისა და შეფასების დოკუმენტში. სამაგისტროს შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, სემესტრის ბოლოს, წერილობითი ფორმით წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომისა და მისი საჯარო დაცვის საფუძველზე. ამასთანავე, როგორც ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა სამაგისტრო ნაშრომები გადის შემოწმებას პლაგიატის არსებობაზე. ამასთან, როგორც მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტები იცნობენ აკადემიური ნაშრომის შესრულებისა და გაფორმების წესებს. ამასთან, რეგულარულად ხორციელდება სტუდენტთა ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ და სტუდენტები კარგად იცნობენ მოქმედ სააპელაციო სისტემას. არსებული სააპელაციო სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები საპრეტენზიო განაცხადით სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაციასადმი მიმართვის გზით. ამასთანავე, როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს ჩატარების დროს გამოიკვეთა, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ მათ გააუმჯობესონ სწავლის შედეგები. აღსანიშნავია, რომ როგორც შეფასება ასევე უკუგება აისახება ელექტრონულ პლატფორმებზე (MYUG სისტემა), რომლის მეშვეობითაც როგორც სტუდენტებს ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ეძლევათ საშუალება გაეცნონ შედეგებს და გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია კურსის შეფასების სისტემის გაუმჯობესები მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- სამაგისტრო სწავლების დებულება
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა და შეფასება სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში - დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 31 მარტის N 13/21 ოქმით);

- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსების შეფასებითი ნაწილი არ იყოს უნიფიცირებული; შეფასების მეთოდები შეირჩეს სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შინაარსისა და რეალური პროცესების გათვალისწინებით და სილაბუსებში გაიწეროს შერჩეული შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ინტერვიუების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ გლობალური მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს ყველა იმ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად, განსახორციელებლად და სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია მიმდინარე ან დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გრანტების და გაცვლითი პროგრამების შესახებ, რომლის მიწოდებასაც უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. აღნიშნული ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ ონლაინ პორტალის - „myug“-ის სისტემის, ელექტრონული ფოსტის, ფაკულტეტის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მოცემულ პროცესში სტუდენტებს დახმარებას უწევენ როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ასევე სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი, დეპარტამენტის უფროსი, სასწავლო კომპონენტების კურატორები, სკოლის მენეჯერი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური და საკვალიფიკაციო ნაშრომების განყოფილების მენეჯერი. აღნიშნული სამსახურების წარმომადგენლები, ერთობლივად უზრუნველყოფენ სტუდენტებსა და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს შორის მჭიდრო კავშირს, აწვდიან მაგისტრანტს ამომწურავ ინფორმაციას როგორც უშუალოდ სწავლის პროცესთან დაკავშირებით, ასევე მათი შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობების თაობაზეც (აღნიშნულს უზრუნველყოფს კარიერული განვითარების სამსახური). სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ უშუალოდ აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. სტუდენტებისათის გამოყოფილი ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათები ასახულია პროგრამის სილაბუსებში. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებული სტუდენტთა საკონსულტაციო საათები ასევე ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის “MY UG” საშუალებით. აქვე ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტში მოქმედი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი აქტიურად და სრულად უზრუნველყოფს მაგისტრანტებისათვის უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი პროექტებისა თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნული კვლევითი ინსტიტუტი საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურებთან ერთად უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით პარტნიორების მოძიებას, საგრანტო პროექტებისა და სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. აქვე, ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი რომელიც არსებობს

პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის.

მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი თვითშეფასების პროცესში. მონაწილეობენ როგორც სემესტრულ გამოკითხვებში, რომლითაც აფასებენ სხვადასხვა სასწავლო კურსებს, ასევე მონაწილეობენ საერთო კმაყოფილების კვლევის პროცესში. ამასთანავე, როგორც მომიჯნავე პროგრამის მაგისტრანტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, თვითშეფასების ჯგუფის მიერ რეგულარულად ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტებთან, რომლებზედაც განიხილება სტუდენტთა პოზიციები. მოცემული მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, სტუდენტთა მთელი რიგი წინადადებები სასწავლო პროგრამის, ცალკეულ სილაბუსებისა თუ სასწავლო პროცესის წარმოებასთან მიმართებაში გათვალისწინებული და ასახული იქნა პროგრამის დახვეწის პროცესში. აღნიშნული კუთხით სტუდენტთა საქმიანობა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათი მოტივაციის ზრდას და შესაბამისად მათ ჩართულობას სტუდენტურ კონფერენციებში, დარგობრივ შეხვედრებში და კვლევით პროექტებში. ხაზგასასმელია, რომ მოცემული მიმართულებით, სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციის წარმოება ხორციელდება სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში არსებული პროექტის „PROJECT X“ ფარგლებში, ტარდება რეგულარული შეხვედრები და ხდება სტუდენტთა გამოწვევებსა თუ ინიციატივებთან დაკავშირებით მსჯელობა და ინფორმაციის გაცვლა. აქვე სტუდენტთა მხარდაჭერის მიმართულებით, ხაზგასასმელია რომ უნივერსიტეტში მოქმედებს მოქნილი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს სწავლის საფასურის მოქნილ საგადასახადო სისტემას და წამახალისებელ სტიპენდიებს. ამასთანავე აღსანიშნავია პროგრამის აკადემიური პერსონალის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს. ეს კი თავის მხრივ, ახალ შესაძლებლობებს უქმნის სტუდენტებს მაქსიმალურად ჩაერთონ პრაქტიკულ საქმიანობაში, გაიარონ სტაჟირება სხვადასხვა კვლევით ცენტრებში. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ადგილობრივ კვლევით ცენტრებთან და დარგობრივ ორგანიზაციებთან (საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ და სხვა). თუმცა აქვე ხაზგასასმელია, რომ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში სტუდენტთა ჩართულობის ამაღლების კუთხით, და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები აქვს მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან, რომელთან ერთადაც ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით და სასწავლო პროექტებში, მისასალმებელი იქნებოდა უცხო ენის/უცხო ენების შემსწავლელი სასწავლო კურსების შეტანა სასწავლო პროგრამაში. აღნიშნული შესაძლებლობა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა მომავალი სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და საგრანტო პროექტებში ჩართვის მიმართულებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რჩევა გაცემულია 2.2 ნაწილში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულება
- “MYUG” პლატფორმა
- თანამშრომლობის მემორანდუმები
- ჩატარებული ინტერვიუები
- უსდ ვებგვერდი www.ug.edu.ge

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ფაკულტეტი სტუდენტს აძლევს საშუალებას კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს როგორც ხელმძღვანელისგან ისე სხვა აკადემიური პერსონალისგან. აკადემიური ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები დეტალურადაა გაწერილი და წარმოდგენილი სამაგისტრო სწავლების დებულებაში. მოცემული დოკუმენტით ასევე რეგულირდება სტუდენტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული სხვა დეტალებიც. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც. ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ თვითშფასების ჯგუფთან
- მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულთა ნაშრომები
- სამაგისტრო სწავლების დებულება

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გლობალური მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 23 პერსონალი (მათ შორის, 13 დარგობრივი პერსონალი), აქედან 6 სკოლის აკადემიური პერსონალი (6-ვე აფილირებულია) და 17 მოწვეული ლექტორი. მისასალმებელია, რომ პროგრამის როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი უმეტესწილად პოლიტიკის მეცნიერების დარგის სპეციალისტები არიან. ამავე დროს, მისასალმებელი იქნებოდა პოლიტიკის მეცნიერების დარგის აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა მეტად ეფექტიანად იქნას უზრუნველყოფილი პროგრამის უწვეტი განვითარება და მასთან დაკავშირებული აკადემიური პერსონალის მოვალეობების განაწილება. **სასურველია,** გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომელიც ჩართულია სამაგისტრო პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობასთან.

პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მიმართულების სპეციფიკა, სტუდენტების ადგილების რაოდენობა, სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა. საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულების მიხედვით, უნივერსიტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისგან. დამხმარე პერსონალს შეადგენს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები, მძღოლები, სამეურნეო სამსახურის ტექნიკური თანამშრომლები.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი შედგება შემდეგი კატეგორიებისგან:

პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი. ასევე გათავლისწინებულია სამეცნიერო პერსონალის კატეგორია (მთავარი სამეცნიერო თანამშრომელი, უფროსი სამეცნიერო თანამშრომელი, მეცნიერ-თანამშრომელი), რომელიც გლობალური მმართველობის სამაგისტრო პროგრამის განვითარებაში ამ ეტაპზე არ არის ჩართული.

უნივერსიტეტის მიერ ასევე განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი, რომლის მიხედვით აფილირებული პერსონალი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით საქმიანობას და მისი კვლევითი სამეცნიერო საქმიანობის შედეგები ეთვლება საქართველოს უნივერსიტეტს; აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ პროცესებში; სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში. საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი, მასში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს. აღწერილია კონკურსის პირობები, დოკუმენტაციის მიღების პროცედურები, კონკურსანტთა შეფასების ეტაპები, გადაწყვეტილების მიღბის პროცესი.

ამავდროულად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ პერსონალის უმრავლესობა უნივერსიტეტში საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებიდან და ზემოთ აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ გლობალური მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. ეს ასევე ეხება პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციას. როგორც გაირკვა ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, სტუდენტები და პროგრამის პერსონალი აქტიურად ახორციელებენ მასთან კომუნიკაციას. პროგრამის ხელმძღვანელის სპეციალიზაცია და გამოცდილება ნამდვილად უზრუნველყოფს გლობალური მმართველობის პროგრამის წარმატებულ განვითარებას.

როგორც ჩანს წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: შრომის ბაზარის კვლევა სასწავლო პროგრამის შემუშავების მიზნით; მსოფლიოს წამყავანი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების შედარების ანალიზის ჩატარება პროგრამის შემუშავების მიზნით; სასწავლო პროგრამის შემუშავება; ხარსიხსის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის შიდა და გარე მექანიზმების დახვეწის მიზნით; თანამშრომლობა დამსაქმებლებთან სტუდენტების სტაჟირების უზრუნველსაყოფად; სკოლის ადმინისტრაციასთან და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან თანამშრომლობა პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რეკრუტირების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ფლობს ამომწურავ ინფორმაციას და მისი კვალიფიკაცია სრულიად შეესაბამება პროგრამის ხელმძღვანელისთვის საჭირო მოთხოვნებს. ამავე დროს, როგორც დადგინდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიუების დროს, უნივერსიტეტში არ არის განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა ხელმძღვანელობა შესაძლებელია ერთი პირის მიერ. **სასურველია,** უნივერსიტეტში დაწესდეს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- პერსონალის დებულება
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობების აღწერილობა
- ჩატარებული ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, გაიზარდოს სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა

სასურველია, უნივერსიტეტში დაწესდეს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. გამოკითხვები ტარდება როგორც პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან პერსონალის შეფასების მიზნით, ყოველწლიურად, წელიწადში 2-ჯერ.

პერსონალის შეფასების წესი განსაზღვრულია უნივერსიტეტის დადგენილებით რომლის მიხედვითაც, მონაცემების წარმოება და ანალიზი გამოიყენება აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, რის საფუძველზეც საქართველოს უნივერსიტეტი გეგმავს რამდენიმე ტიპის აქტივობას: მათ შორის, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგები და სემინარები (მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და მიდგომები, სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ონლაინ სასწავლო პლატფორმების გამოყენება). აღნიშნულ ღონისძიებებში დასწრება მნიშვნელოვანი კომპონენტია აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რიმლის ხემძღვანელობით ხირციელდება ის კვლევითი პროექტები, რომელთა დაფინანსება დადასტურდა უნივერსიტეტის ან შესაბამისი სკოლის მიერ.

როგორც ექსპერტთა ჯგუფის უნივერსიტეტში ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით დადგინდა, აკადემიური პერსონალის პროექტებში ჩართულობა შესაძლებელია როგორც საათობრივი ანაზღაურებით სალექციო დატვირთვის საფუძველზე, ისე ფიქსირებული ანაზღაურებით, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ დატვირთვის სქემას. სქემის მიხედვით, გათვალისწინებულია 4 შესაძლო ვალდებულება: სალექციო, სამეცნიერი, საკონსულტაციო და ადმინისტრაციული. აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად. სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ ხდება სამეცნიერო კვლევის შედეგების შეფასება. ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენისთვის პასუხისმგებელია პროგრამის განმავითარებელი საბჭო, რომლის შეხვედრები სისტემატიურად ხორციელდება.

როგორც პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებების შედეგად გაირკვა, უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა საგრანტო სქემა, მაგალითად, გრანტის გამოყენება შესაძლებელია მაღალრეიტინგულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების მიზნით. თითოეული კვლევითი განაცხადის შემთხვევაში გათვალისწინებულია ანგარიშის ჩაბარება და პრეზენტაცია მიღწეული შედეგების შესახებ.

უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების სამსახური პასუხისმგებელია ღინისძიებების განსაზღვრაზე, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას. მაგალითად, 10 საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად პროგრამის პერსონალისთვის შემოთავაზებულია 10 სახის ონლაინ კურსი სასწავლო პროცესის ხარისხის და სწავლების ინოვაციური მედგომების გაზიარების თაობაზე, რაც აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მისი ეფექტურად განხორციელების პროცესში. აკადემიური პერსონალის ატესტაცია ხდება 3 წელიწადში ერთხელ.

ისევე როგორც მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების შემთხვევაში, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვს გამოაქვეყნოს თავისი კვლევები უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალში.

უსდ-ს წარმოდგენილი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა), რომლის მიხედვითაც აღნიშნული მიმართულება გამოირჩევა საერთაშორისო თანამშრომლობის მზარდი მაჩვენებლებით. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანია საერთაშორისო პროექტების/პარტნიორების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა (ხელმისაწვდომია 2020-2021 წლების მონაცემები). განსაკუთრებით აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მობილობისა და პროექტების მხრივ).

საბოლოო ჯამში შეიძლება დავადასტუროთ, რომ საქართველოს უნივერსიტეტი უწყვეტად აფასებს პერსონალს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის გასაუმჯობესებელ გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ თვითშეფასების ანგარიში • პერსონალის დებულება • მემორანდუმები და საერთაშორისო მემორანდუმები • პერსონალის განმავითარებელი ღონისძიებები • სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამუშაოს აღწერილობა • ჩატარებული ინტერვიუები • უსდ ვებგვერდი www.ug.edu.ge
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში არსებული საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. რესურსების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ კონკრეტულ სემესტრში მოქმედი სასწავლო კურსის მასალები ატვირთულია UG ონლაინ პლატფორმაზე. ამდენად, სასწავლო მასალა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია. თავის მხრივ, სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში მოქმედებს კომპიუტერული რესურს-ცენტრი (ბიბლიოთეკის სივრცეში). მისასალმებელია, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია როგორც სამუშაო, ისე შაბათ დღეს, რაც ქმნის ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენების კომფორტულ პირობებს სტუდენტებისთვის.

გარდა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა, უსდ-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საპრეზიდენტო ბიბლიოთეკასთან და უსდ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა იქ დაცული რესურსები გამოიყენონ ექსკლუზიური პირობებით.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით. უსდ ბიბლიოთეკა ფლობს რამდენიმე სამეცნიერო ბაზასთან წვდომას (JSTOR, EBSCO, SCOPUS და სხვ.) აღნიშნული, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მათ ეძლევათ საშუალება მრავალმხრივი და სფეროს უახლეს ცოდნაზე დაფუძნებულ მიღწევებს გაეცნონ, არამედ ამით ხელი ეწყობა ინტერნაციონალიზაციის საკითხსაც, რაც თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებისთვის და საერთაშორისო ურთიერთობების (კერძოდ გლობალური მმართველობის) შეუქცევადი პროცესია. აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში უსდ-მა განახორციელა ცვლილებები ბაზებთან წვდომასთან დაკავშირებით და სტუდენტებს მისცა იმეილით სახლიდან ბაზებზე წვდომის საშუალება, რაც მისასალმებელია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეა, არსებული საბიბლიოთეკო და ტექნიკურ-მატერიალური რესურსი პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია და ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აკადემიურ პერსონალს, ვისაც სურს ნებისმიერი ლიტერატურის შეძენა თავისი სასწავლო კურსის ფარგლებში, ელექტრონულად შეუძლია დაწეროს განცხადება. შესაბამისად, საფინანსო სამსახური, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სკოლა განსაზღრავს შესაძენი ლიტერატურის საბოლოო სიას. სტუდენტებთან, ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუირების შედეგად ირკვევა, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ: სასწავლო აუდიტორიები, სასკოლო მულტიმედიაცენტრი, კომპიუტერული რესურს-ცენტრი. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გარდა აღნიშნული რესურსისა, ყოველი სემესტრის დასაწყისში სტუდენტებისთვის გამოიყოფა 3 ოთახი თემატური ჯგუფური მუშაობისთვის, რაც ასევე მისასალმებელია.

რესურსს იცავს როგორც უნივერსიტეტის დაცვა, ისე ე.წ. ტექნიკური დაცვის სისტემები (ვიდეოთვალი, სიგნალიზაცია, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმა), რაც უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ასევე, უნივერსიტეტში მოქმედებს საგამოცდო ცენტრი, რომლის ფუნქციონირების დათვალიერება ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა ვიზიტის დროს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამის სტუდენტებს აქვთ წვდომა მრავალი ტიპის რესურსთან, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ფუნქციით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ექსპერტთა ჯგუფის მიერ
- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- ჩატარებული ინტერვიუები
- უსდ ვებგვერდი https://www.ug.edu.ge

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გლობალური მმართველობის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს უნივერსიტეტს აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტატუსი.

პროგრამის აკრედიტაციისთვის გამოგზავნილი დოკუმენტაციის ფარგლებში ხელმისაწვდომია ინფორმაცია გლობალური მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მოიცავს ჯამურ ინფორმაციას ყველა გათვალისწინებული ხარჯების და შემოსავლების შესახებ. ყველაზე მსხვილი თანხა გამოყოფილია აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებისთვის. ასევე გათვალისწინებულია საინვესტიციო და სხვა ხარჯები, რომლების გამოყენება ხორციელდება პროგრამის განვითარების მიზნით. ამავე დროს,

რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტის სხვა ხარჯები მეტად დეტალურად გაწერილი იქნას, რათა დაზუსტდეს ინტერნაციონალიზაციის, პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობა. აღსანიშნავია, რომ სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამის დამატებითი ფინანსური საჭიროებები შეძილება უზრუნველყოფილი იყოს უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდებით. ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი ამ მომენტისათვის უზრუნველყოფილია 28 სტუდენტის მიერ (4 წლის ჯამური მაჩვენებელი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გლობალური მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი • პროგრამის თვითშეფადების ანგარიში • ჩატარებული ინტერვიუები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია,** პროგრამის ბიუჯეტის სხვა ხარჯები გაიწეროს დეტალურად, რათა დაზუსტდეს ინტერნაციონალიზაციის, პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება ხორციელდება ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მექანიზმსა და საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმს. უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. პროგრამის შეფასების პროცესი გამიჯნულია სკოლისა და ცენტრალური ხარისხის კომპეტენციების შესაბამისად, პროგრამის შინაარსობრივ ნაწილზე პასუხისმგებელია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ხოლო ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს თვითშეფასებას, პროგრამასა და სილაბუსებს უმაღლესი განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებთან და საქართველოს უნივერსიტეტის დებულებებთან შესაბამისობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებას უწევს პროგრამის განვითარების საბჭოს მუშაობას არამხოლოდ პროგრამის შეფასების, არამედ შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისად სამსახურის მიერ ინიცირებული ცვლილებები წარედგინება სკოლის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

უსდ საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესს ახორციელებს პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შეფასების პროცესი მოიცავს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას - პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მეტწილად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და ვიზიტის განმავლობაში განხორციელებულმა ინტერვიუებმა, გამოავლინა გარკვეული შეუსაბამობები დოკუმენტურად ასახულ ინფორმაციასა და ფაქტობრივ მონაცემებს შორის, ასევე გამოიკვეთა განმახორციელებელი

და სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის ინფორმირების, თანამშრომლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფილად განხორციელებაში ჩართულობის საჭიროება. პერსონალის ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას მათ მიერ განსახორციელებელი სასწავლო კურსების, ასევე პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების თაობაზე. **რეკომენდებულია,** შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზუნველყოს პროგრამის პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობა და ჩართულობა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესებში. უსდ-ს სამეცნიერო სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად, ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; • ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; • გამოკითხვის და შეფასების შედეგები; • სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების სისტემა; • ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია,** შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზუნველყოს პროგრამის პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობა და ჩართულობა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, გარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას და აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან შეფასების მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიუების შედეგად, დადგინდა, რომ აღნიშნული პროგრამის რევიზია განახორციელა ბილეფელდის უნივერსიტეტის მკვლევარმა. წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, პროგრამის დადებით შეფასებასთან ერთად წარმოდგენილია რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. რევიზიის შესაბამისად გაცემული რეკომენდაციების ნაწილი არ არის გათვალისწინებული სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში, თუმცა უსდ გამოთქვამს მზადყოფნას გარე შეფასების ნაწილში მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნას პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები::

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- გარე ექსპერტის დასკვნა;
- ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გააქტიურდეს თანამშრომლობა გარე შემფასებელთან რევიზიის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს რეგულარულად აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ასევე ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების შესაბამის სამუშაო ეტაპებზე. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება პირდაპირი მექანიზმებით ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ, ხოლო არაპირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ. განხორციელებული შეფასების ხარისხის შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასების შემთხვევაში არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ და არაპირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასების შემთხვევაში არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ.

ამასთან, უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანთლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კონკრეტულად განხორციელდა გლობალური მმართველობის პროგრამის დადარება საერთაშორისო ინსტიტუტების შესაბამის სამაგისტრო პროგრამებთან: ბერკლის, სტენფორდის უნივერსიტეტის, გოთენბურგის უნივერსიტეტისა და ერაზმუს მუნდუსის ევროპული გლობალური სწავლებების სამაგისტრო პროგრამასთან (EMGS). ანალიზის შესაბამისად, გამოიკვეთა მსგავსებები არამხოლოდ პროგრამების სტრუქტურისა და სწავლის მიზნების, არამედ სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად და

შესაბამისად სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; • ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; • გამოკითხვის და შეფასების შედეგები; • ანალოგი პროგრამების ანალიზი; • ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
გლობალური მმართველობა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გვანცა აბდალაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ივანნა მაჩიტიძე

თამთა ცხოვრებაძე

ნანა ფირცხელანი